პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

რჩევა ბედნიერი ოჯახის არსებობისთვის

დიდმა რუსმა მწერალმა, ლევ ტოლსტოიმ, დაიწყო თავისი რომანი, *ანა კარენინა*, ასეთი სიტყვებით: „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთის მსგავსია; ყოველი უბედური ოჯახი უბედურია თავისებურად“.[1] მე არ ვიზიარებ ტოლსტოის აზრს იმის შესახებ, რომ ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთის მსგავსია, თუმცა აღმოვაჩინე, რომ მათ ყველას ერთი რამ აქვთ საერთო: მათ შეუძლიათ ერთმანეთის არასრულყოფილი საქციელის პატიება და დავიწყება, ასევე მხოლოდ კარგის დანახვა.

უბედურ ოჯახებში კი, ხშირად ბრალდებებს ეძებენ, უკმაყოფილონი არიან და წარსულის წყენას ვერ ივიწყებენ.

„კი, მაგრამ . . .“ დაიწყებენ უბედურები. „კი, მაგრამ თქვენ არ იცით, როგორ მატკინა გული“, - იტყვის ერთი. „კი, მაგრამ თქვენ არ იცით, რა საშინელი ადამიანია“, - იტყვის მეორე.

შეიძლება ორივე მართალია; ან ორივე ტყუის.

არსებობს წყენის მრავალი ფორმა. არის ტკივილის უამრავი ნაირსახეობა. მაგრამ მე შევამჩნიე, რომ ჩვენ ხშირად ვამართლებთ ჩვენს წყრომას და ვიმშვიდებთ ნამუსს იმით, რომ ვარწმუნებთ საკუთარ თავს სხვების უკეთურ ზრახვებში და ვგმობთ მათ საქციელს, როგორც ეგოისტურს და არასაპატიოს და იმავე დროს ჩვენს საკუთარ მოტივებს განვადიდებთ როგორც სუფთას და უმანკოს.

უფლისწულის ძაღლი

არის მე-13 საუკუნის ძველი უელსური ამბავი უფლისწულზე, რომელიც დაბრუნდა სახლში და ნახა თავისი ძაღლი პირგასისხლიანებული. უფლისწული სახლში შევარდა და საშინელება იხილა: ვაჟის აკვანი გადაბრუნებული დახვდა, ბავშვი კი არსად ჩანდა. აღშფოთებულმა უფლისწულმა ხმალი ამოიღო და მოკლა ძაღლი. მალე მას შვილის ტირილი შემოესმა. ბავშვი ცოცხალი იყო! პატარას გვერდით მკვდარი მგელი ეგდო. ძაღლმა, ფაქტიურად, უფლისწულის ვაჟი მგლისგან იხსნა.

მართალია, ეს ამბავი დრამატულია, მაგრამ კარგად გადმოგვცემს აზრს. ის გვიჩვენებს, რომ როდესაც სხვებს განვიკითხავთ, ჩვენ ზოგჯერ ფაქტები არ ვიცით, ზოგჯერ კი არც გვინდა, რომ ვიცოდეთ. ჩვენ გვირჩევნია გავამართლოთ საკუთარი წყრომა და ვებღაუჭებით სიმწარეს და წყენას. ზოგჯერ წყრომა თვეებისა და წლების მანძილზე არ გვტოვებს. ხანდახან მთელი ცხოვრების განმავლობაშიც კი გვაწამებს.

გაყოფილი ოჯახი

იყო მამა, რომელიც ვერ პატიობდა შვილს იმას, რომ მან მამის გზას გადაუხვია. ბიჭს ჰყავდა მეგობრები, რომლებიც მამას არ მოსწონდა და ის ხშირად აკეთებდა იმას, რაც მამის აზრით მიუღებელი იყო. ამან მამა-შვილის ურთიერთობაში განხეთქილება შეიტანა, რის შედეგადაც ბიჭი, როგორც კი მას ამის საშუალება მიეცა, სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ისინი ერთმანეთს ძალიან იშვიათად ელაპარაკებოდნენ.

მიაჩნდა მამას, რომ ის მართალი იყო? ალბათ.

მიაჩნდა შვილს, რომ ის მართალი იყო? ალბათ.

მე ვიცი, რომ ოჯახი გაიყო და გაუბედურდა, რადგან არც მამას და არც შვილს არ უნდოდა ერთმანეთის პატიება. ისინი ვერ ივიწყებდნენ წარსულის მწარე მოგონებებს. მათ სიყვრულისა და პატიების ნაცვლად გულები სიბრაზით აავსეს. არც ერთმა არ გამოიყენა ერთმანეთის ცხოვრებაზე კარგი გავლენის მოხდენის შანსი. განხეთქილება მათ შორის იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ორივენი საკუთარი ემოციების კუნძულზე სულიერ პატიმრებად იქცნენ.

საბედნიეროდ, ჩვენმა მოსიყვარულე და ბრძენმა ზეციურმა მარადიულმა მამამ მოგვიმზადა ამ ამპარტავნების დასაძლევი გზა. დიადი, უსაზღვრო გამოსყიდვა ხომ პატიებისა და შერიგების უმაღლესი ქმედებაა. მისი სიდიადე ჩემი ცნობიერების საზღვარს სცდება, მაგრამ მაინც მთელი გულითა და სულით ვამოწმებ მის რეალობასა და უსაზღვრო ძალას. მაცხოვარმა ჩვენი ცოდვებისთვის საკუთარი თავი მსხვერპლად შეწირა. მისი მეშვეობით ჩვენ მოგვეტევება.

არც ერთი ოჯახი არ არის სრულყოფილი

არავინ არ ვართ უცოდველნი. ყველანი ვუშვებთ შეცდომებს, ჩემი და თქვენი ჩათვლით. ყველას გვაქვს გული ნატკენი, ყველას გვიტკენია სხვისთვის გული.

ჩვენი მხსნელის მსხვერპლშეწირვით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ამაღლებასა და მარადიულ ცხოვრებას. მისი მიბაძვით და საკუთარი გულის მოლბობით, ამპარტავნების დაძლევის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ოჯახში და პირად ცხოვრებაში შემოვიტანოთ შეწყნარება და პატიება. ღმერთი დაგვეხმარება უფრო ადვილად მივუტევოთ სხვებს, ბიბლიური ნათქვამის თანახმად, ერთი ათასი ნაბიჯის ნაცვლად ორი ათას ნაბიჯზე გავყვეთ სხვას, პირველმა მოვიხადოთ ბოდიში მაშინაც კი, როცა არ ვტყუივართ, უარი ვთქვათ ძველ წყენაზე და აღარ ვკვებოთ ის. მადლობა ღმერთს, რომელმაც მოგვცა მხოლოდ შობილი ძე და ძეს, რომელმაც შეწირა ჩვენთვის საკუთარი სიცოცხლე.

ჩვენ შეგვიძლია ყოველდღიურად ვიგრძნოთ ღმერთის სიყვარული. განა არ უნდა გავცეთ, ცოტათი მაინც,საკუთარი თავი მოყვასისთვის ისე, როგორც ამას ჰიმნში ვმღერით „Because I Have Been Given Much“?[2] უფალმა ჩვენ მიტევების კარი გაგვიღო. ხომ კარგი იქნებოდა, რომ გვერდზე გადაგვედო ეგოიზმი და ამპარტავნება და გაგვეღო ეს დალოცვილი მიტევების კარი მათთვის, ვისაც ვებრძვით, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებს?

ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება სრულყოფილებით კი არა, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ ღვთიური პრინციპების ცხოვრებაში გატარებით წარმოიქმნება. პირველმა პრეზიდენტობამ და თორმეტ მოციქულთა ქვორუმმა განაცხადა: „ოჯახური ბედნიერება ცხოვრებაში მოიპოვება მაშინ, როცა მას უდევს საფუძვლად უფალი იესო ქრისტეს სწავლება. წარმატებული ქორწინება და ოჯახი დაფუძნებულია და შენარჩუნდება რწმენით, ლოცვით, მონანიებით, *პატიებით,* პატივისცემით, სიყვარულით, შეწყნარებით, შრომით, სრულფასოვანი დასასვენებელი ღონისძიებებით.“[3]

პატიება მოიძებნება იმ უბრალო ჭეშმარიტებებში, რომლებიც ჩვენი ზეციერი მამის ბედნიერების გეგმაშია ჩადებული. რადგან პატიება აკავშირებს პრინციპებს, ის აკავშირებს ადამიანებსაც. ის არის გასაღები, ის ხსნის ჩაკეტილ კარებებს, ის არის პატიოსანი გზის დასაწყისი და ბედნიერი ოჯახის შექმნის საუკეთესო იმედი.

ღმერთმა შეგვაძლებინოს ცოტა მეტი პატიება ოჯახში, ერთმანეთის მიმართ და საკუთარი თავის მიმართებაშიც კი. მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ჩვენ შევიგრძნოთ პატიების განცდა, როგორც ის ერთი შესანიშნავი საერთო თვისება, რითაც ასე გვანან ერთმანეთს ბედნიერი ოჯახები.

შენიშვნები

1. ლევ ტოლსტოი, *ანა კარენინა,* კონსტანს გარნეტის თარგმანი (2008), 2.
2. "Because I Have Been Given Much," *Hymns,* no. 219.
3. „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,*ნოემბერი, 2010 წ, გვ.129.

ამ მოწოდების სწავლება

„გაკვეთილის მზადებისას, ჰკითხეთ საკუთარ თავს, როგორ შეიძლება შევადაროთ პრინციპი გამოცდილებას, რომელიც ოჯახის წევრებს ჰქონიათ საკუთარ ცხოვრებაში". „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," (*Teaching, No Greater Call* [1999], 171). *მოიწვიეთ ოჯახის წევრები, გაიზიარონ პატიების გამოცდილება, რომელიც მათ ჰქონიათ პირადად ან შეუმჩნევიათ ცხოვრებაში. განიხილეთ ეს გამოცდილებები, გაამახვილეთ ყურადღება პატიების ლოცვა-კურთხევაზე. დაასრულეთ საკუთარი დამოწმებით ერთმანეთის პატიების მნიშვნელობაზე.*

ახალგაზრდები

ლოცვა და სიმშვიდე

ლორენ ვ. მიერ

ერთხელ საღამოს მე დედას წავეკამათე და ამის გამო ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი; ამიტომაც გადავწყვიტე მელოცა. მიუხედავად იმისა, რომ ცუდ ხასიათზე ვიყავი და არ მინდოდა „სულიერ განწყობაზე" დადგომა ვიცოდი, რომ ლოცვა დამეხმარებოდა უფრო ბედნიერად მეგრძნო თავი და ნაკლებად გამჩენოდა კამათის სურვილი. როგორც კი დედა ოთახიდან გავიდა, მე დავიწყე ლოცვა. „ძვირფასო ზეციერო მამა, მე მოგმართავ, რადგან . . ." არა. მე გავახილე თვალები და ხელები გავშალე; ჩემი სიტყვები უცნაურად ჟღერდა. ისევ ვცადე. „ზეციერო მამაო, მე მინდა . . ." ესაც უცნაურად ჟღერდა. მე ვგრძნობდი, რომ სატანა მიბიძგებდა შემეწყვიტა ლოცვა და მამაზეციერისთვის დახმარების თხოვნა.

უცებ მომივიდა აზრი მეთქვა მადლობა. ასეც მოვიქეცი და უმალვე გონებამ გამიმხილა უამრავი რამ, რისთვისაც მამაზეციერის მადლობელი ვიყავი. როდესაც დავამთავრე მისთვის მადლობის გადახდა, არსებულ პრობლემაზე დაველაპარაკე.

მას შემდეგ მშვენიერი შინაგანი სიმშვიდე ვიგრძენი, სითბო, რომელიც ადასტურებდა, რომ მამაზეციერს და მშობლებს ვუყვარდი და რომ მე ვარ ღვთის შვილი. მე შევძელი დედისთვის ბოდიშის მოხდა და მისგანაც ბოდიშის მიღება.

ბავშვები

მიტევებას ბედნიერება მოაქვს

პრეზიდენტი უხთდორფი გვასწავლის ოჯახის წევრების პატიებას. შეხედეთ, რა მოჰყვა ჯოზეფისა და ანას არჩევანს ოჯახში.

ჯოზეფი და მისი პატარა და, ანა, ერთად თამაშობენ. ანა ართმევს ჯოზეფს სათამაშოს. რა უნდა ქნას ჯოზეფმა?

ჯოზეფი უბრაზდება ანას. ანა ტირის. ჯოზეფის დედა სჯის მას დასთან ჩხუბის გამო. ჯოზეფი ნანობს ცუდ არჩევანს.

ჯოზეფი პატიობს ანას და პოულობს სხვა სათამაშოს. ისინი მხიარულად თამაშობენ ერთად. დედას უხარია, რომ ჯოზეფი კეთილად მოექცა დას და ოჯახში სიმშვიდე შეინარჩუნა. ჯოზეფი ბედნიერია იმის გამო, რომ პატიება აირჩია.

მოგვიანებით დედას ჯოზეფისა და ანას დახმარება სჭირდება სამზარეულოში. ჯოზეფი არ ეხმარება. რა უნდა ქნას ანამ?

ანა ეწუწუნება დედას. ანა წუწუნებს იმის გამო, რომ მარტო უწევს დახმარება. სადილის დროს ყველა ცუდ ხასიათზეა კამათის გამო.

ანა პატიობს ჯოზეფს და ეხმარება დედას სადილის კეთებაში. დედას უხარია ანას მოხმარება. ოჯახს უხარია სადილზე ერთად ყოფნა. ანას უხარია, რომ გააკეთა არჩევანი აპატიოს ჯოზეფს.

როგორ აისახება თქვენი პატიების არჩევანი ოჯახის ბედნიერებაზე?

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, October 2012.* Georgian. 10370 131

ჩვენი აღთქმებისთვის პატივის მიგება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

შინა მასწავლებლის როლში მსახურება არის ჩვენი მოწაფეობის გამოხატვის გზა და ხერხი -ერთმანეთის მსახურებითა და გაძლიერებით მივაგოთ პატივი ჩვენს მიერ დადებულ აღთქმებს. აღთქმა ნიშნავს ღმერთსა და მის შვილებს შორის დადებულ ხანგრძლივ წმინდა პირობას. „როდესაც გვესმის, რომ ვართ აღთქმის შვილები, ჩვენ ვიცით, ვინ ვართ ჩვენ და რას ელის ჩვენგან ღმერთი“, თქვა თორმეთ მოციქულთა ქვორუმის წარმომადგენელმა, უხუცესმა რასელ ნელსონმა. „უფლის კანონი ჩაწერილია ჩვენს გულებში. ის არის ჩვენი ღმერთი, ჩვენ კი მისი ხალხი ვართ“.[1]

ჩვენ, როგორც შინა მასწავლებლებს, შეგვიძლია გავაძლიეროთ ისინი, ვისთანაც ვსტუმრობთ, მათ მცდელობებში დაიცვან თავიანთი წმინდა აღთქმები. ჩვენი ასეთი საქციელი დაეხმარება მათ მოემზადონ მარადიული ცხოვრების დალოცვების მისაღებად. „ამ ეკლესიის ყოველ დას, რომელსაც დადებული აქვს აღთქმა უფალთან, აკისრია ღვთიური დავალება - მიიღოს მონაწილეობა სულების გადარჩენის საქმეში, წინ გაუძღვეს მსოფლიოს ქალებს, გააძლიეროს სიონის ოჯახები და აშენოს ღვთის სასუფეველი“,[2] თქვა თორმეტ მოციქულთა ქვორუმის წარმომადგენელმა რასელ ბალარდმა.

როდესაც ვდებთ წმინდა აღთქმას და ვიცავთ მას, ჩვენ გარდავიქცევით იარაღად ღვთის ხელში. ჩვენ შევძლებთ ნათლად ჩამოვაყალიბოთ მრწამსი და გავაძლიეროთ ერთმანეთი მამაზეციერისა და იესო ქრისტეს რწმენაში.

წმინდა წერილებიდან

1 ნეფი 14:14; მოსია 5:5–7; 18:8–13; მოძღვრება და აღთქმები 42:78; 84:106

ჩვენი ისტორიიდან

როგორც 1833წ. უფალმა გაუმხილა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმიტს, ტაძარი არის „ყოველი წმინდანის მადლიერების ადგილი“. ეს არის „რჩევადარიგებების ადგილი ყოველი მათგანისთვის, ვინც არჩეულია იმსახუროს სხვადასხვა მოწოდებებში და თანამბებობებზე, რათა გახდეს სრულყოფილი თავის მსახურების, თეორიის, პრინციპის, დოქტრინის და ყოველი იმ მცნების გააზრებაში, რომელიც ეხება ღვთის სასუფეველს დედამიწაზე“ (D&C 97:13–14).

მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში ილინოისის შტატში, ნავუში, მოწყალების საზოგადოების დები ეხმარებოდნენ ერთმანეთს სატაძრო წეს-ჩვეულებების მიღების მომზადებაში. ნავუს ტაძარში უკანასკნელი დღეების წმინდანთა უმაღლესი მღვდლობის წესჩვეულებების ჩატარების დროს „გამოვლინდა ღვთაებრივი ძალა“ (მოძღვრება და აღთქმები 84:20). „მომავალში, წლების განმავლობაში, ეს ძალა აძლიერებდა და ეხმარებოდა განსაცდელთა დაძლევაში იმ წმინდანებს, რომლებიც იცავდნენ დადებულ აღთქმებს“.[3]

დღეს ეკლესიაში ერთგული ქალბატონები და მამაკაცები მთელს მსოფლიოში მსახურებენ ტაძრებში და გამუდმებით პოულობენ ძალას იმ დალოცვებში, რომელთა მიღებაც შესაძლებელია მხოლოდ სატაძრო აღთქმების მეშვეობით.

შენიშვნები

1. რასელ მ.ნელსონი,“Covenants,” Liahona, ნოემბერი 2011, გვ. 88
2. მ. რასელ ბალარდი, “Women of Righteousness,” *Liahona,* დეკემბერი 2002, გვ.39.
3. *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 133.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ მაძლიერებს ჩემი აღთმა?

2. როგორ ვეხმარები დებს, რომლებიც მაბარია, თავიანთი აღთქმის დაცვაში?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი
დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, October 2012.* Georgian. 10370 131